ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 8 აპრილი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

ირაკლი ავალიანი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში წერეთლის ქუჩის მე-3 შესახვევის №13 ეზოს შემაკავებელ კედელზე, გოგოლის ქუჩის №83ა-სთან, ბაზაძის ქუჩის №3-ის საყრდენი კედლის, სოლომონ მეორის №55-თან საყრდენი კედლის, მიქელაძე-მეველეს №3-ის საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 5200 (ხუთი ათასი ორასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1585. 01.04.2015 წ.)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა მხოლოდ ერთმა კონკურსანტმა: შ.პ.ს „კარიბჭე"-მ – 5000 (ხუთი ათასი) ლარზე.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 8 აპრილის 13:30 საათამდე პერიოდით.

განიხილეს: შ.პ.ს „კარიბჭე"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.
შ.პ.ს „კარიბჭე"-მ მიიღო - 15,5 ქულა

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში წერეთლის ქუჩის მე-3 შესახვევის №13 ეზოს შემაკავებელ კედელზე, გოგოლის ქუჩის №83ა-სთან, ბაზაძის ქუჩის №3-ის საყრდენი კედლის, სოლომონ მეორის №55-თან საყრდენი კედლის, მიქელაძე-მეველეს №3-ის საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „კარიბჭე“.
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების (მალხაზ ბასილაძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა“ და „მიმოწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.
3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადამი უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე